N 357-49
22/04/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ კობა ლურსმანაშვილს
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
უფროსის ვლადიმერ გელაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის N 43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საჭიროებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2016 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი სახსრების ნაშთიდან 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯებში მიმართული იქნას 8.7 ათ. ლარი,აქედან :

- ა(ა)იპ ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი - 3,7 ათ. ლარი;
- ა(ა)იპ კულტურის ცენტრი - 4,8 ათ. ლარი;
- ა(ა)იპ ისტორიული მუზეუმი - 0,2 ათ. ლარი.

2. ა(ა)იპ ხარაგაულკეთილმოწყობას დამატებით ესაჭიროება 50,0 ათასი ლარი, აღნიშნული თანხის შესავსებად, საჭიროა გადატანილი იქნას კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციის ხარჯებიდან (ელექტროგადამცემი ხაზების მოწყობა) სახაზინო კოდი „03 02 06" 20,5 ათასი ლარი და ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების ხარჯებიდან (ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მოწყობა) ორგანიზაციული კოდი „05 04" 29,5 ათასი ლარი ა(ა)იპ „ ხარაგაულკეთილმოწყობის" ხარჯებში, მ. შ. 44,5

ათასი ლარი „გარე განათების“ და 5,5ათასი ლარი პარკებისა და სკვერების სუბსიდირებაში.

სულ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში10 090. 0 ათასი ლარი გაიზარდოს 8,7 ათასი ლარით და განისაზღვროს 10 098,7 ათასი ლარი;

ხარჯების დაფინანსების წყაროდ გამოყენებული იქნას 2016 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი სახსრების ნაშთი 8,7 ათასი ლარი .

ვლადიმერ გელაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი